№ 52
ხუთშაბათი, 10 მარტი 1894

1877—1894

# ივერია

№ 52
ხუთშაბათი, 10 მარტი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**ქართული დრამატიული საზოგადოების მმართველობისაგან**

## განცხადება

იმის მიუხედავათ, რომ წლევანდელი ქართული სათეატრო სეზონისათვის მოწვეულნი იყვნენ თითქმის ყველა საუკეთესო არტისტები, მაინც წარმოდგენები იმით დასრულდა, რომ ქართულ დრამატიულ საზოგადოებას 2400 მანეთამდე ზარალი მოუტანა,—ხოლო ამ ზარალმა იმის გარდა, რომ საზოგადოების კასსა დააცარიელა, მასთანავე 700 მანეთამდე ვალიც დაადო მას. ამოდენა ზარალი და ვალი იმიტომ მოხდა, რომ, ჯერ ერთი, ზოგიერთ საუკეთესო არტისტების დასში მოწვევით, საზოგადოებისავე დასაკმაყოფილებლად, გასავალს დიდად მოემატა, და მეორეც იმიტომ, რომ წარსული წლიდგან დრამატიულ საზოგადოებას უწინდელი შესაწევარი მოაკლდა ბანკისაგან, წელიწადში 1000 მან.

ამ გარმაოებით შევიწროებული ქართული დრამატიული საზოგადოების მმართველობა იძულებულად ჰრაცხავს თავის თავს, საქმისავე სასარგებლოდ, მიჰმართოს საზოგადოების წევრებს—ამ საქმის თანამგრძნობელთა, და სთხოვოს მათ დახმარება 1893 და 1894 წლ. (წელიწადში 5 მან.) საწევრო ფულის შემოტანით, რომ ამით მაინც გაუძლვეს მმართველობა თავის სავალდებულო საქმეებს.

ფულის შემოტანა უნდა მოხდეს საზოგადოების ხაზინადრის ბ. პეტ. ყიფიანის სახელობაზედ „ივერიისა“ ანუ «Новое Обозрѣніе»-ს რედაქციებში.

---

დანიშნული ოცდა-შვიდს წარსულ თებერვლისას ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა კრება არ შესდგა, რადგანაც კანონის მოთხოვნილებისამებრ თავად-აზნაურობა არ შეკრბა.

ამისა გამო **ბორჩალოს მაზრის კეთილ-შობილთა** წინამძღოლმა თ. გიორგი ილიას ძე ჯამბაკურიან-ორბელიანმა დანიშნა მაზრის კრება ცამეტს ამა მარტისასა და სთხოვს, იმ თავად-აზნაურობას მაზრისასა, რომელთაცა აქვსთ უფლება არჩევანებში დასწრებისა ამა კრებაში, მობძანდნენ ზემო აღნიშნულს დღეს, დილის თორმეტს საათზედ კვირას, ტფილისის კეთილ-შობილთა დეპუტატთა საკრებულო სადგურის დარბაზში, პუშკინის ქუჩაზედ, ექიმ კუკუჯანოვის სახლში, სადაც შესდგება ბორჩალოს მაზრის კრება, და ვიდრე კრება შესდგებოდეს, წარმოუდგინონ მას წინამძღოლს, დეპუტატთ საკრებულო კანცელარიაში საბუთნი თავიანთის უფლებისა, რომლის წარმოუდგენლობის გამო არ იქმნებიან ჩაწერილნი სიაში. (3—3)

---

## ახალი ამბავი

*** ჩვენის რკინის გზის სადგურზედ ტფილისში დამზღვეველმა საზოგადოებამ „როსია“-მ გაჰმართა თავის კანტორა, რომელსაც განაგებს ქალი. ამ კანტორაში მსურველს შეუძლია თავის-თავი დაიზღოს, როცა იგი სამგზავროთ გაემართება, იმ ნაირად, რომ თუ რამ უბედურება შეემთხვევა გზაში, დამზღვეველი საზოგადოება დანიშნულს ფულს გადაუხდის იმის ოჯახს, ან ვისთვისაც იგი მოისურვებს. ამისათვის წინდაწინვე უნდა გადაიხადოს რამდენიმე მანათი, რომელსაც აქვე ამ კანტორაში, გამოუცხადებს ამ საქმისათვის დანიშნული აგენტი ქალი.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის უფროსი ღენერალ-მაიორი შატილოვი საზღვარ-გარეთ გაემგზავრა ავადმყოფობისა გამო. ერთი ტფილელი გაზეთი (Т. Л.) აცხადებდა, რომ ბ-ნი შატილოვი ოთხის თვის ვადით წავიდაო, მაგრამ, როგორც ჩვენ შევიტყეთ, ეს მართალი არ გამოდგა: ბ-ნი შატილოვი თერთმეტ თვეს დაჰყოფს სამსახურის გარეშე. ამასთანავე ხმა დადის, რომ იგი იქმნება დანიშნული მთავარ-მართებლის საბჭოს წევრადაო.

*** ქ. ოზურგეთი: 13 თებერვალს გაიმართა აქ ქართულ და რუსულ სცენის მოყვარულთა მიერ წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზრით. წარმოადგინეს ბ-ნ ვ. გუნიას ვოდევილები „Мой маленькій капризъ“. წარმოდგენამ ძლიერ კარგათ ჩაიარა; ხალხი დიდძალი დაესწრო და ჩვენის დედათა სკოლის პატარა დარბაზი თითქმის სულ სავსე იყო. შემოვიდა სულ 78 მ., ხარჯი იყო 21 მ.; წმინდა შემოსავალი დარჩა 57 მ., რომელიც გაიყო ოთხ ნაწილად: ერთი ნაწილი გაეგზავნა სტუდენტს ს. გოგიტიძეს; მეორე ნაწილი მიეცა დედათა სკოლას ქ. ოზურგეთში; მესამე ნაწილი გაეგზავნა კვირკველიძეს, რომელიც ქალაქ იალტაში სწავლობს სამეურნეო სკოლაში; მეოთხე ნაწილი მიეცა იმ საზოგადოებას, რომელიც აქაურ სამოქალაქო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა შესაწევნელად არის დაარსებული.

*** ს. ქარელი (გორის მაზრა): ამ თვის სამს, ჩვენს სოფელში ერთი უბედურება დატრიალდა: ებრაელი ნონიკა წიწვაშვილი თავის უფროსის შვილით, თავიანთ კარ-მიდამოზე ნერგის ხეს სჩეხამდა. გაიგო თუ არა ეს ამბავი ებრაელმა დანიელ ჯინჯიხაშვილმა, გამოუვარდა და დაუწყო ჩხუბი წიწვაშვილებს: „ეს ნერგის ხე მე მეკუთვნის, ჩემი დარგულიაო“. ჩხუბი იქამდინ გაძლიერდა, რომ მოჩხუბრებმა ერთმანერთზე საცემრად იწიეს, მაგრამ ხალხმა, როგორც იყო, დააშოშმინა მოჩხუბრები. გათავდა თუ არა ჩხუბი, მოვიდა ამ დროს უნცროსი ვაჟიშვილი ნონიკა წიწვაშვილისა, გაბო; აქ გაიგო, რომ მამაჩემსა და ჩემს ძმას წასჩხუბებია დანიელ ჯინჯიხაშვილიო; დაავლო გაბომ ქვას ხელი და ესროლა დანიელ ჯინჯიხაშვილს. ქვა საბრალო დანიელს ყურის ძირში მოხვდა და იქვე უგონოდ დაეცა; ბევრის წყალის სხმის შემდეგ, ძლივს მოაბრუნეს დანიელი, მაგრამ ტყუილად-ღა, რამდენისამე საათის განმავლობაში ტანჯვით სული დალია. გამოძიება სწარმოებს.

*** მცხეთა: რკინის გზის სადგურ მცხეთაში, დიდი ხანია, რაც ნავარდობდნენ რამდენიმე ქურდ-ბაცაცანი. ამათ გასტეხეს ერთხელ დაკეტილი საწყობი ნავთისა და წაიღეს ბიტონები და ტომრები, მეორეთ გაუტეხეს აქაურ ჟანდარმს დაკეტილი საკუჰნაო და ზოგი რა წაიღეს და ზოგი რა. თებერვლის 28-ს ამ ვაჟბატონებმა კიდევ გასტეხეს ბუფეტის დაკეტილი სამზარეულო, მაგრამ მაშინ-კი მოასწრო ქურდებს სადგურის დარაჯმა. ქურდებმა იძრეს ხანჯალი და გამოუდგნენ დარაჯს, რომლის ყვირილზედაც გამოცვივდნენ მეისრენი და შეიპყრეს ორი მათგანი, ერთი-კი გაიქცა. შეპყრობილნი თათრები აღმოჩნდნენ. მცხეთის ბოქაულმა შეჰკოჰა ისინი და გაგზავნა ორის ჩაფრით დუშეთის მაზრის უფროსთან.

*** გომი (რკ. გზ. სადგური): 5 მარტს რკინის გზის სადგურს გომში, სადაც არის აშენებული ხოლერით ავადმყოფთათვის ფარდულები, აქაურმა მცხოვრებმა ხარებოვმა, ტომით ოსმა, გასტეხა დაკეტილი კარები ამ ფარდულისა, შებრძანდა ღამე შიგ, აძრო კარებს და ფანჯრებ სკოჰ-ყურები და ანჯამები, გამოიტანა აგრეთვე რაც რამ მოჰხვდა ხელში და უნდა წაეღო. ამ დროს მოასწრო ლიანდაგის დარაჯმა, შეიპყრო და მიჰგვარა აქაურის სადგურის უფროსსა და ჟანდარმმა ქურდი წარუდგინა ბოქაულს.

*** 8 მარტს სიონის ქუჩაზე ორის დღის დაბადებული მიგდებული ბავშვი იპოვეს და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** 7 მარტს ეგზარხის მოედანზე მიხეილ ბარისოვს 25 მან. ღირებული პალტო მოჰპარეს. ეჭვი მიიტანეს სოფ. ედისის მცხოვრებელს ბეგიზაშვილზე, რომელიც უკვე შეიპყრეს.

---

### ნაწყვეტები

მთასა დიდს-მაღალს მგოსანი
იჯდა და მწარედ სტიროდა,
მოსთქვამდა: მტერმა მომიკლა
მზრუნველი დედა იროდა,
დედინაცვალმა დამჩაგრა:
მოკვდი, გაქრო, ყვიროდა,
თუ სიტყვას შეუბრუნებდი—
სათოფედ დამებღვიროდა.

---

### ხონის და ჯიხაიშის არხის შესახებ.

აგერ მესამე წელიწადია, რაც ცხენის წყალიდამ გამოვიყვანეთ სარწყავი არხი, რომლის გამო ბევრი უსიამოვნო წერილები უძღვნეს ბ. ნიკოლაძეს სხვა და სხვა გაზეთებმა, მადლობის მაგიერად. რასაკვირველია, უპასუხოთ არც ბ. ნიკოლაძეს დაუტოვებია სიმართლის აღსადგენათ ის წერილები; სხვა-კი კრინტსაც არავინ სძრავს, ამისთვის არ მიმაჩნია მეტად, როგორც ერთი მონაწილეთაგანი, ორიოდე სიტყვა მეც მიუძღვნა ჩვენს მკითხველს.

საქმის დაწყებიდამვე ბ. ნ. ნიკო-

---

## ფელეტონი

### ხ ა ნ ჯ ა ლ ი

(ჩემის სიყრმის ამბავი)

მოხდება ხოლმე ადამიანის სიცოცხლეში ისეთი შემთხვევა, რომელიც, რაც უნდა ქორფა ყმაწვილი ყოფილიყო, საფლავამდის არ დაავიწყდება.

ვიქმნებოდი ასე 9—10 წლისა, მამაჩემმა რომ პირველად ხანჯალი მაჩუქა. ადვილად წარმოიდგენთ იმ აღტაცებულს სიხარულს, რომელიც შემიდგა მე ამის გამო.

წამდაუწუმ, ვითომც შემთხვევით, და არა განგებ, აუვლიდი და ჩაუვლიდი სარკეს და ხანჯლის ტარზედ ხელ-მოკიდებული, როგორც ნამდვილი ჩერქეზი, გამოვიჭიმებოდი ხოლმე სარკის წინ (ჩვენი ნათესავთაგანი ჩერქეზნი მრავალნი ესტუმრებოდნენ ხოლმე მამაჩემს). ქალები იტყვიან ხოლმე, რომ ბავშვნი აღარა ვართო იმ დღეს, რა დღესაც პირველად თავს დაიხურავენ, ან გრძელ კაბას ჩაიცმენ. მე-კი, როგორც ვაჟი, ხანჯლის წელზედ შემოკვრა სიამაყით და სიხარულით მივიჩნიე იმის დამტკიცებად, რომ უფროსებმა მიცნეს ღირსად საჭურველის ტარებისა და შემრიცხეს ვაჟკაცთა რიცხვში. თუმცა მეც, ჩემის მხრით, ყოველ ღონისძიებას ვხმარობდი, რომ თავი ისე დამეჭირა, როგორც შეჰფეროდა ნამდვილ ვაჟკაცს, მაგრამ ნათქვამია: „წყალი მიდგება-მოდგება და ნაგუბარშივე ჩასდგებაო“: ჩემმა ვაჟკაცის შესაფერმა თავის დაჭერამაც დიდი ხანი არ გასწია: მალე დავივიწყე, რომ ხანჯალი წელზედ მეკრა და ისევ ვიწყე 9—10 წლის ბავშვის შესაფერი სიცელქე.

ერთხელ ისე მეტის-მეტად ავცელქდი, რომ ერთი ჩვენი მოახლეთაგანი მოთმინებიდან გამოვიყვანე.

„დაწყნარდი, დაწყნარდი, შე მოუსვენარო ცელქო, შემომიტია მოახლემ. გრცხვენოდეს, ვაჟო ხანჯლიანო; შენი სიცელქე ცინგლიან ბავშვის სიცელქეა!“

ამ დაცინვამ, ძლიერ კარგად მახსოვს, საშინლად შემაწუხა. ვიგრძენ სიმართლე მომართულ ჩემდა სიტყვებისა, მოვინდომე ჩემი სიცელქე ხუმრობაში გამეტარებინა და რათა დამემტკიცებინა, რომ ცინგლიანა ბავშვი-კი არა, ნამდვილი ვაჟკაცი ვარ მეთქი, ვიშიშვლე ხანჯალი და ღიმილით გავექანე გოგოსაკენ. ამ დროს არ ვიცი, როგორ და საიდგან, ჩემსა და გოგოს შუა გაჩნდა, (თითქო ეხლაც თვალწინ მიდგას), წარბ-შეკრული, განრისხებული მამა ჩემი და არ გაიარა ერთმა წამმა—ვიგრძენ ლოყაზედ ერთი კარგი, ლაზათიანი გამამფიზლებელი წკაპანი.

— შე საძაგელო, ბედკრულო! ვის გაუგონია დედაკაცზედ ხანჯლის ამოღება, ვისა?! ფუ, შეგირცხვეს ნამუსი —ჰო და ჰა!—დაუმატა სილას მამა ჩემმა.

— ვხუმრობდი, მე... მხოლოდ შევსძელ ამის წარმოთქმა და მოვრთე ტირილი.

—«ხუმრობდი?! ხუმრობა საჭურველით?! შემოიხსენ ეხლავე ხანჯალი!»—მიბრძანა მამაჩემმა, და აღარ მაცალა, რომ მე თითონ მომეხსნა, მომწვდა და ჩამომწყვიტა.

— შენ ჯერ ხანჯლის ყადრი არ გცოდნია, ღირსი არ ყოფილხარ მისის ტარებისა!—დაუმატა მამაჩემმა და ტახტისკენ გასტყორცნა ხანჯალი.

ამ დროს იქ დაესწრო მამიჩემის და ერთობ ჩვენის ოჯახის ერთგული მოსამსახურე ანდრია, ის ანდრია, რომელიც სიყრმითვე აღზრდილიყო ჩვენს სახლში, დამსწრე იყო ყოველ ჩვენის ოჯახის ლხინისა და ჭირისა, აჩრდილი მამისჩემისა.

— აპატივე, ბატონო, კრძალვით გაუბედა მან მამაჩემსა:—ბალღია, ჯერ არ იცის ხანჯლის პატივი!

— აბა კიდევაც ეგა მკლავს, რომ მეტის-მეტად დავიწყებული შეიქმნა ეხლანდელ დროში პატივი ამ წმინდა საჭურველისა, და შენთვის, ანდრიავ, წაქეზება მოუფიქრებლად საჭურვლის ხმარებისა ვისგანმე—სირცხვილი უნდა იყოს! ღვთისაგან დალოცვილი საჭურველი, რომლითაც ჩვენთა წინაპართ სახელი ამაღლებულ იყო, ეხლანდელ დროში შეიქმნა იარაღად და ღონისძიებად იმ გვარ უსამართლოებისა, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მამაპაპათა წარსულ საქმეებთან. მეტად გამრავლდა სიმდარება, რომელსაც არა აქვს გაგება იმისი, თუ რაშია მოვალეობა ან მეკობრობისა, ან ცოლ-შვილიანის კაცისა, ან ერთგულის მამულის შვილისა, ხოლო ხანჯალი რომლითაც ვიცავდით უმანკოებას, სიწმინდეს ჩვენის ოჯახისასა და სახელისასა, ამოღებულია ან მათზედ რომელთა დასაცვად გაჩენილ არის იგი ღვთისაგან... საბრალო ლაჩარნი, რომელნიც მამაპაპის მიერ სისხლითა და ოფლითა შეძენილ ქონების შეჭმასა და გაფუჭებაში ჰხედვენ მხოლოდ თავის სახელის და პატიოსნების დიდებასა, საბუთად

ლაძე სულ იმას სცდილობდა, რომ შემდგარიყო ამ არხზედ წყლის მართველობა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ ხონელები (ი. შარაშიძე და მისი ქომაგები როგორც წარმომადგენლები) ვერ დავითანხმეთ და ვერა, მისთვის, რომ მათ კარგად იცოდნენ მართველობის შედგენის მერე ვეღარ ითარალებდნენ ისე, როგორც აქამდე. აი ამის მიზეზით შეჩერდა წყლის კანონიერ ნიადაგზე დაყენება.—ნათქვამია „ერთი ჭირი მარგებელიაო“, სწორედ ასეც მოხდა, როდესაც ბ. ჩხიკვიშვილმა ხონში შეაყენა ყალიდა, ითხოვა ხონელ მოთავეებს ანგარიში მოეთხოვოსო მხოლოდ მაშინ, ბ. შარაშიძემ და მისმა მომხრეებმა იკადრეს დათანხმება მართველობის შედგენისა.

დაიწერა თხოვნა, მოაწერეს მონაწილეებმა ხელი და გაუგზავნეს კავკასიის წყალთა ინსპექტორს, და უმაღლესმა მთავრობამ დაგვიმტკიცა საქმე. მოაღწია არჩევნის დროც (19 იანვარს) რომელსაც ბ. ნ. წერეთელი ასე გამწვავებული ემდურის და გაიძახის სხვა და სხვა გაზეთებში არჩევნები უკანონო იყო, დაგვამუნჯეს, ენას გვჭრიდნენ, ამისთანა უსამართლობას ნიკოლაძისაგან არ მოველოდითო და სხვა... ეგ დალოცვილი ბ. ნ. წერეთელი დაამუნჯეს კიარა იმისოდენი მგონი არც ამ დიდმარხვის პირველს კვირიაკეში მედავითნეს არ ულაღადნია. თუ ხალხმა ბ. ნიკოლაძის რჩევა მიიღო და არა ბ. წერეთლისა, მიიღო მისთვის, რომ დასასრული მიეცა საქმისათვის და წასულ წლებსავით უკანონოდ და უთადარიგოდ არ დარჩომილიყო ასეთი სასარგებლო საქმე. ბ. ნ. წერეთლის ჰაზრი მარტო მისთვის, და კერძოთ მისთვის გამოსადეგი იყო და არა სხვისათვის. ის დაჟინებით გვიმტკიცებდა კრებაში, რომ თითო სოფლიდამ ორორი რჩევის წევრი იყოსო, ეს მისთვის სურდა, რომ სოფლებში ქომაგები ეშოვნა, რადგანაც ქომაგები მონაწილეობაში ცოტა დამჯერი ჰყავდა. ამით სურდა რჩევაში მეტი ხმა ეშოვა და არ გაეზიარებინა წყალი იმ 300 კომლი კაცისათვის, რომელმაც საწულუკიძოს არხი გამოიყვანეს და მის გამოყვანაში ფულით თუ მუშაობით მიიღეს მონაწილეობა. ბ. წერეთელს უნდოდა როგორც ბ. ნიკოლაძე უწოდებს უდაბნოის წისქვილისათვის კერძოთ მოეხმარა ეს არხი, მაგრამ ამას-კი არ კითხულობს ბ. ნ. წერეთელი, ამ არხის წყალი ვისგან შეიძინა ან, კანონიერათ შეიძინა, თუ უკანონოთ. არავის არაოდეს არ უფიქრია წყალი წაერთმია ბ. წერეთლისთვის, თუმცა ყველამ იცის რომ ეს წყალი უკანონოდ ჰქონდა ნაშოვნი იმას წყალს არავინ ართმევდა და მეტსაც პირდებოდნენ. მაშ თვითონ ბ. წერეთელი რათ უნდა გამხდარიყო წინააღმდეგი, რომ იმ უწყლოდ დატოვებულ სამას მოსახლე კაცს ზედმეტი წყალი წამოეყვანა და ესარგებლათ? მირაბის არჩევანზე თვითონ ბ. ნ. წერეთელი ბრძანებს, 669 წევრიდამ მარტო 457 მიიღო მონაწილეობაო, ამასაც მესამედი მოვაკლოთო. მიკვირს, რასთვის მესამედს 457 აკლებს და არა 669? რჩევის წევრების არჩევანი უკანონო იყო, 211 კაცმა მოაწერა ხელიო. სრულიადაც კანონიერი იყო! როგორც-კი გამოუცხადა თავჯდომარემ კრებას რჩევის წევრების არჩევა, ყველასაგან ერთხმად იქმნა არჩეული ბ.ბ. ნიკოლაძე, დავით ლორთქიფანიძე და მათი კანდიდატები. სამჯერ განუმეორა კრებას თავმჯდომარემ კითხვა: წინააღმდეგი არის ვინმე ამათი ამორჩევისაო? მაგრამ ერთსაც არ ამოუღია ხმა უარ-ყოფისა. ამას მაზრის უფროსიც, ინჟენერიც და ბევრი სხვა საპატიო პირიც დაესწრნენ. თუ იმ საღამოს პროტოკოლზე 211 კაცის მეტს მაშინვე ხელი არ მოუწერია, ეს იმისი მიზეზი იყო, რომ მაშინ ღამე იყო და ვინაიდგან ხელის მოწერა დიდხანს გაგრძელდა, ხალხი გაიბნა, შორი გზა ჰქონდა წამოსასვლელი.. მეორე დღეს-კი მოვიდენ, და ყველამ ხელი მოაწერა, ასე რომ პროტოკოლზე ხუთასს კაცს უწერია ხელი. ბ. წერეთელი სწერს კიდევ ვითომ ნიკოლაძე წისქვილების ქომაგიაო. მაგრამ ის რომ წისქვილებს ასახელებს იმისთანა ათიც რომ იყოს და ოციც, ხალხს არავითარს ზარალს არ მოუტანს, რადგან იმ წისქვილების წყალი წისქვილსაც აბრუნებს, მოსარწყავათაც იხმარების და შემოსავლის სახსარადაც ჩაითვლება. საწულუკიძოს არხის წყალი-კი ბ. წერეთელს ჯურღმულში ჩაუშვია, იკარგება მარტო სამის წისქვილის მეოხებით და მოსარწყავათ არ გამოადგება. კაცი თავისთვის-კი უნდა შრომობდეს, მაგრამ სხვას არ უნდა ავნებდეს და ავიწროებდეს.

სხვათა შორის ბ. ნ. წერეთელი ბრძანებს: ანგარიში უნდა მოეცათ მონაწილეებისათვისაო. კარგი და პატიოსანი, ამას უარს განა ვინა ჰყოფს, რომ ფულს ანგარიში უნდა, მაგრამ ეს ანგარიშის გასწორება უმართველოთ შეუძლებელი გახლდათ. აი სწორეთ ამისათვისაც ჩქარობდა ბ. ნიკოლაძე წყლის მართველობა კანონიერ საფუძველზე დაეყენებინა. თვითონ იმას ხომ ფული არ ბარებია, არც ფულისთვის ხელი მოუკიდნია. მგონი არც ეხლა მოსწონთ ხაზინადრებს ჩოთქი, მაგრამ რა გაეწყობა, დრომ მოიტანა. რამდენათაც ვიცით პირველი სხდომა ახალი საბჭოსი ამ ანგარიშის მოთხოვნით დაიწყება.

დ. დევძე

## კორესპონდენცია

**ლეჩხუმი.** იმ დროს როდესაც თითქმის სრულიად ჩვენის ქვეყნის მკვიდრთ გამოიფხიზლეს გონებრივის ძილიდამ და ამ გამოღვიძების უტყუარ საბუთს თვალ-წინ უდგენენ ჩვენის ერის გულ-შემატკივართა, როდესაც ერთგან ერთნი მართავენ თავიანთ საკუთარის მოსაზრებითა და ხარჯით ორ, ან სამ კლასიანს სასწავლებელს, იწვევენ სპეციალურად მომზადებულს, და თავის მაღალ ხელობაში ჯეროვანად განვითარებულს მასწავლებლებს და ამ ნაირად უნდათ მოეწიონ წუთი-სოფელს; როდესაც მეორე ადგილას იფუძნებენ ბიბლიოთეკას და სახალხო სამკითხველოს, სცდილობენ შეიძინონ განვითარება და სიმდიდრე ჭკუა-გონებისა; როდესაც მესამე და მეოთხე ადგილას აარსებენ, დეპო-მაღაზიებს თუ ვერა, გამსესხებელ-შემნახველ კასსებს მაინც და ამ ღონისძიებით ხელიდამ უსხლტებიან წურბელა ჩარჩ-ვაჭრებსა და მოვახშეთ; იმ დროს მეთქი, ვამბობ, როდესაც ამისთანა სულისა და გულის გამამხნევებელი და მანუგეშებელი ამბები ჩვენის ქვეყნის თითქმის ყველა დაბა-სოფლიდამ მოისმის, ჩვენს კურთხეულს ლეჩხუმს და მის მკვიდრთ საღათას ძილით სძინავთ და არც ერთი მცირეოდენი ნიშანი არა სჩანს გამოფხიზლებისა და წარმატების გზაზედ დადგომისა. არავინ ჩვენში ყურს არ იბერტყავს, არავინ ხელს არა სძრავს არავინ არას მეცადინეობს, რომ ამ გონების ღრმა ძილს და უმოძრაობას როგორმე თავი დაალწიოს. თუ ჩვენ თვითონ ვერას მოვიაზრებთ და ვერას გავიჩენთ, სხვებს, ჩვენს მოძმეებს, ჩვენს მეზობლებს მაინც მივბაძოთ და მათის გონივრულის მაგალითით ვიხელმძღვანელოთ. მაგრამ არა... ამის უნარიც ვერ გამოგვიჩენია. ამ მხრით, როგორც სჩანს, ერთობ გაგვრისხებია ლეჩხუმელებს, და გაგვწყრომია ღმერთი. ვისაც დაუვლია ლეჩხუმის მაზრა და დაჰკვირვებია მის მკვიდრთა ყოფა-მდგომარეობას, უეჭველად დაგვეთანხმება, რომ ამ მაზრას და მის მკვიდრთ აკლია ყოველივე ის, რაც ხალხის გონებრივად თუ ეკონომიურად წინ წამწევია და კეთილ-დღეობამდე მიმყვანი. ჩვენი მაზრა ყოვლად ღარიბია ყოველ იმით, რაც მეცხრამეტე საუკუნეში ყოველ ერისათვის დიდ სიმდიდრეთ ითვლება. გონიერი მეთვალყურე ცხადათ დაინახავდა იმასაც, რომ ამ უკიდურესობაში ჩაჭრილი ხალხი, დიდი თუ პატარა, შეძლებული თუ ღარიბი, ჭკვიანი თუ უჭკუო ერთნაირად ხელ-გულ დაკრეფილია და არავითარს ზრუნვას არ იჩენს, რომ ამ ნაირ უნუგეშო ყოფა მდგომარეობას რაიმე წამალი მოუპოვოს. მთელს მაზრას ერთის ისეთის სასწავლებლის დაარსებაც ვერ მოუხერხებია, რომელშიაც მათმა შვილებმა ცხოვრებაში გამოსადეგი და ლუკმა-პურის მომცემი სწავლა-ცოდნა შეიძინონ. დეპო-მაღაზიები და იაფის სარგებლით ფულის მიმწოდებელ კასსების გაჩენისა და დაარსების საჭიროება და სარგებლობა აზრადაც არავის მოსდის. წიგნთ-საცავი და სამკითხველო—ეგ უმთავრესი საწყობი ადამიანთა ჭკუა-აზროვნობის საზრდოსი, რასა ჰქვიან, რა არის?! სახელსაც ვერ გაიგონებთ ყოველ ამისას, არა თუ მის მოპოვებისა და დაარსებისათვის თავი შეიტკივოს ვინმემ.

ეგ კიდევ რა? სამწუხაროდ მთელს მაზრაში ძლიერ იშვიათად შეხვდებით ისეთს ოჯახს, რომელსაც რომელიმე იაფის ფასის გაზეთი მაინც ჰქონდეს დაკვეთილი, და მით, ცოტაც არის მაინც, აძლევდეს თავის აზრსა და გონებას ღონისძიებას გაიგოს რამე ქვეყნიერობის ავ-კარგიანობის და ყოფა მდგომარეობისა. უმრავლესობა, თუ ქეიფი მოუვიდათ კითხვისა, მიჰყოფს ხელს ყარამანიანს, ან სხვა ამ გვარ ზღაპრულ შინაარსის წიგნებს, და ამით ერთობა, ამით ამოძრავებს თავის ტვინსა, გონება-აზროვნობას. ამ გვარსავე გონების საზრდოს აწოდებენ ხელში თავიანთ შვილებს, მოზარდ თაობას. ცხადია ყველასათვის ამნაირ საზრდოთი ნაკვებ და აღზრდილ ადამიანის ტვინი, აზრი და გონება, წინ ვერ წავა, ფრთას ვერ გაშლის, სრულს დამთავრებასა და განვითარებამდე ვერ მიაღწევს; და მაშასადამე ვერც ვერავითარ სასარგებლო ნაყოფს გამოიღებს ვერც საზოგადოებისათვის და ვერც კერძოდ თავის პატრონისათვის.

ყოველივე ესე რომ ნივთიერის სიღარიბით-კი არა, ჭკუა-გონების სიღატაკით, საყოველთაო ზნეობრივის და გონებრივის გათახსირების ნაყოფია; კიდეც ეს არის სამწუხარო და სავალალო, რომ ამ სიღატაკის, ამ უბადრუკობის თავიდგან მოსაშორებლად არასა ვზრუნავთ. მართალია, ჩვენს მაზრაში მეტად ცოტაა ისეთ უმაღლეს სწავლა-მეცნიერებით აღჭურვილთა რიცხვი, რომელთაც შეეძლოთ ამ გვარ ყოფაში ხალხის მესვეურობა, გამოფხიზლება და წარმატებით გზაზედ დაყენება, მაგრამ თითო-ოროლა სკოლა-კი მოიძებნება ისეთი რომლთაც ყოველივე ზემოთ აღწერილი გარემოება ჩვენის ხალხისა შეგნებული და დანახული აქვთ, მაგრამ ეს დალოცვილები რაღაც სასო წარკვეთილებას მისცემიან, ჩაუკეტიათ კარი თავიანთ სადგურებში და საზოგადო სამოღვაწეო ასპარეზზედ არა ჩნდებიან. ერთნი იმ მოსაზრებით, რომ სულ ერთია, რამდენიც უნდა ვიყვიროთ, ჩვენში მაინც არ გათენდებაო; მეორენი იმ ფიქრით, რომ რამდენიც უნდა ვრეკოთ, მაინც არავინ მოვა მოსასმენადაო და სხვ...

ვინ ამბობს, რომ გონებრივად ისეთს ყოფაში ჩაჭრილის ხალხის გამოფხიზლება, როგორც ჩვენა ვართ, ადვილი საქმე იყოს; დიდ დიდი შრომა, მეცადინეობაა საჭირო იმისთვის, ვისაც ამ მხრით ხალხის შეგო-

---

დასამტკიცებლად თავიანთ ცრუდ პატიოსნებასა ხმარობენ მხოლოდ ხანჯალსა. მაღალ აზრთა მოკლებულნი დასაცვავად მხოლოდ მიკიტნის შესაფერი, აჟინებისა ჰხმარობენ ხანჯალს და მისი ამოღება უადვილდებათ უფრო მაშინ, როდესაც შეატყობენ, რომ მათი წინააღმდეგნი ეკუთვნიან მათსავე ლაჩართ გმირთ რაზმსა... ჩემო ანდრიავ, ჩვენც ხომ განუშორებლივ ვატარებთ ხანჯალს. ძილის დროსაც-კი თავით ვიდებთ ხოლმე. და დღესაც, რათა დავიცვათ სიწმინდე ჩვენთა მამაპაპათა ჩვეულებისა და წესისა, არ ვტოვებთ ძველებურის ლაშქრობას ჩვეულობასა. მოატანს რა შუაღამე, ვტოვებთ ტკბილს ძილსა და აღჭურვილნი თოფიარაღითა, გარს შემოუვლით ხოლმე ჩვენს კარმიდამოსა. მაგრამ აბა ერთი მითხარი ბევრჯელ ამოგვიღია ჩვენს სიცოცხლეში ქარქაშიდან ხანჯალი? ხანჯალ-წელზე შემოკრულნი დავიბადენით, ხანჯალ-წელზედ-შემოკრულნი მოვხუცდით და აი აგერ ერთი ფეხი სამარეში გვიდგა და მაშ ლაფი გვესხას ამ ჩვენს გათეთრებულს თავზედ, თუ ხანგრძლივ ლაშქრობაში გატარებულ ჩვენს სიცოცხლეში ისე ხშირად გვეხმაროს ხანჯალი, როგორადაც ხშირად ჰხმარობენ ეხლანდელი ძუძუმწოვარა ლაწირაკნი“...

— ღვთის მადლმა, მართალს ბრძანებ, ბატონო, მიუგო ანდრიამ მამა ჩემს.

— ნუ თუ, განაგრძო მამა ჩემმა, ქარქაშიდან ადვილად ვისგანმე ამოღება ხანჯლისა ჩაითვლება მის ვაჟკაცობად?! არასოდეს!

— ვინ მისცა განაგრძო მამა-ჩემმა მეტის გრძნობით: საბრალო ლაჩარს მოაზრება-თუ რა დროს არის ხმარება ხანჯლისა მისთვის სასახელო და რა დროს თავზედ ლაფის დასხმაა! აი ამის გამო ამ გვარნი ვაჟ-ბატონნი აჩრდილზედაც-კი იშიშვლებენ ხოლმე ხანჯალსა. და ისინი ვისაც საგნად თავის სიცოცხლისა მიაჩნიათ მხოლოდ თავის პირუტყულ მოთხოვნილობის შესრულება, მუდამ არიან გაუბედავნი, მხდალნი თავის პატიოსნების დაცვისა და გაწირვის დროს და აი, როდესაც ამოდენა ნამდვილნი და პატიოსანნი ვაჟ-კაცნი, ნამდვილ გმირთა შესაფერ სიმტკიცით იცავენ თავის სამშობლოს და თავის-თავის პატიოსნებასა და ხანჯლის ხმარება მიაჩნიათ მხოლოდ ერთ უკანასკნელ, აუცილებელ საშუალებად, სახელი და გვარი ამ პირველთა ვაჟბატონთა გარეულა ხოლმე, მთელის ჩვენის ერისა და ქვეყნის სამარცხვინოდ, ყოველ გვარ საზიზღარ სისხლს საქმეებში. ეხლა ის დრო აღარ არის, ჩემო ანდრია, როდესაც გუთნის დედას ერთს ხელში გუთანი ეჭირა და მეორეში—თოფ-იარაღი. ხანჯალმაც რასაკვირველია, ადგილი უნდა დაუთმოს იმ ღონისძიებას, რომელიც იხმარება სიმშვიდის დროს; თუმცა-კი როგორც სახსოვარი მამა-პაპათა წარსულის დიდებისა და წმინდა ნაწილი, რომელსაც ვერ მოეცხების ჩირქი ბოროტ-მომქმედის ხელის ხმარებით, უნდა უმშვენებდეს წელს შთამომავალს.

ანდრია იდგა უძრავად და, ეტყობოდა სმენად იყო გადაქცეული. თუმცა პატარა ვიყავ, მაგრამ მეც გამიტაცა მამა-ჩემის ლაპარაკმა და თითოეული მისი სიტყვა გულში მწვდებოდა.

— სწორედ, სწორედ! განაგრძო ლაპარაკი ეზოში შესულმა მამა-ჩემმა: დედის ძუძუსთანავე უნდა ჩაეწვეთოს ადამიანს ის ჭეშმარიტება, რო საძირკვლად კეთილის წეს-წყობილება ყოველთვის ყოფილა, არის და იქმნება მხოლოდ პატიოსნება, რომლის არსებობაც ისევე სამარადისო და შეუცვლელია, როგორც სამარადისო და შეუცვლელია თვით ღმერთი. და აი ღირს ვქმენ უმაღლეს პატივისა-ნება ვუბოძე ამ ჩემ შვილს ჩემის მამა პაპის ტანისამოსის ჩაცმისა და არა მსურს, რომ მან, მტერთა გასახარებლად, შეარცხვინოს ეს ტანთ-საცმელი მის საუკეთესო სამკაულის, წმინდა ხანჯალის უგუნურად და მოუფიქრებლად ხმარებითა.

არ გაუვლია დიდს ხანსა და მე ისევ ისე მებოძა ხანჯალი,—მაგრამ მოხუცებულის მიერ წარმოთქმულობის ძვალსა და რბილში გამჯდარმა აზრმა დიდად იმოქმედა ჩემს ჩვილს, განურყვნელ, ალღოიანს ბუნებაზედ.

და აი აგერ ორმოც წელიწადს გადავაბიჯე და თუმცა, როგორც მონადირეს, ხშირად მაქვს ხოლმე შემთხვევა თოფ-იარაღის ტარებისა მაგრამ რაღაც მოწიწებასა, შიშსა და კრძალვასა ვგრძნობ დაშლილ თოფის წმენდის დროსაც-კი. აგრეთვე დიდს ზნეობრივს შეურაცხყოფად მიმაჩნია ხანჯლებით ლეკურის თამაში, რადგანაც არავითარი კავშირი არ არის მშვიდობიან, სინარნარით სავსე ლეკურის თამაშობასა და ბრძოლის იარაღ შვენებით მოელვარე ხანჯალს შორის.

არა მწერალი

ნებასა და მეთაურობას იკისრებს; მაგრამ ვარდი უეკლოდ, აბა, ვის მოუკრეფია?!. ეს შეგნებულნი რომ საზოგადო მოღვაწეობას არ გაურბოდნენ, შესაძლებელია, ჩვენი ბედი სულ სხვა გზაზედ დამდგარიყო, მათი რჩევა და აზრი, დღეს თუ არა, ხვალ მაინც შეეგნო და შეეთვისებინა ჩვენს ხალხს და ამნაირად დასდგომოდა კეთილსა და ნაყოფიერ ცხოვრების გზას. მაგრამ ვინ არის პატრონი, გულ-შემატკივარი? აქ არავინ ხელმძღვანელობს იმ ანდაზით, რომ «თუ გული გულობს, ქადა ორის ხელით იჭმებაო»... აი ამნაირ ყოფაში გახლავანთ ლეჩხუმელები და საიდგან ამოგვიბრწყინდება განთიადის მზე, რომელ მხრიდგან შემოსდგამს ჩვენს მაზრაში ფეხს მოციქული და წინამორბედი ჩვენის გამოფხიზლებისა, ამის შესახებ ვერას მოგახსენებთ.

ქაიხოსრო გელოვანი

---

**აფხაზეთ-სამურზაყანო:** ამ დღეებში შემთხვევით დავათვალიერეთ ერთი დიდებული ნაშთთაგანი ჩვენის წარსულისა—ბედიის ტაძარი. თუმცა ჟამთა სიმკაცრეს მეტის-მეტად დაუზიანებია ეს ტაძარი, მაგრამ თავის წარსული სიდიადე იმდენად ეტყობა დღესაც ბედიის ტაძარს, რომ შესვლისათანავე შიგ მოწიწებით ქუდს იხდით და მყისვე განიმსჭვალებით ქრისტიანობრივისა და წარსულთა დროთა პატივისცემის გრძნობითა. სამწუხაროდ, დრო აღარ გვქონდა ყურადღებით დაგვეთვალიერებინა ეს ტაძარი და დაწვრილებით აგვეწერა მისი დღევანდელი მდგომარეობა მკითხველისათვის. სხვა მრავალ მხატვრობათა შორის, რომელთაგან ზოგი მთლად წაშლილია და წაბღალული, განსაკუთრებულის ყურადღების ღირსია ბედიის ტაძრის სამხრეთს კედელზედ დახატული თამარ დედოფლის სახე. ჟამთა ვითარების ულმობელს ძალას ამ ყველა ქართველისათვის ერთგვარად პატივსაცემ სახელოვან მოღვაწის ნახატისათვისაც დაუსვამს თავისი დაღი: მხრები, პირისსახე და თავი, გვირგვინით შემკობილი ამ ნახატზედ კარგად დარჩენილია, განსაკუთრებით თვალები და წარბები, თითქმის სრულიად უვნებლად არის დაცული დღემდე. მხოლოდ ცალი ლოყა წაშლილა; ცალი ხელის ხუთივე თითი კარგად სჩანს. იქ, სადაც თამარ-დედოფალია დახატული, წარწერებიც შედარებით უფრო კარგად მოსჩანს. დასავლეთისა და სამხრეთის კარები, ე. ი. კარების გარშემო გაყოლებული ხელოვნურად ამოჭრილი ქვები მეტად კარგად არის დაცული ეხლაც... ტაძარს გუმბათიცა აქვს, მაგრამ გუმბათის თავი (შუაგული) ჩამოცვივნულია და დანარჩენიც გამზადებულია ჩამოსაცვენად... და საზოგადოდ ეს დიდებული და სახელოვანი ნაშთი ჩვენის წარსულისა ირღვევა, იშლება, ასე რომ სულ რამდენისამე წლის შემდეგ, რასაც ეხლა ვხედავთ, იმის მეხუთედსაც ვეღარ ვნახავთ... ადგილობრივი მცხოვრებნი ბედიელნი (ამ ტაძრის გარშემო მდებარეობს ს. ბედია) ერთის მხრით მეტად მოკრძალებითა და პატივისცემით ეპყრობიან ამ ეკკლესიას, მეორეს მხრით მეტად უმართებულოდ: პატივი და თაყვანის-ცემა იმაში გამოიხატება, რომ ბევრს ეხლაც მოაქვთ აქ შესაწირავად ჩამოქნილი წმინდა სანთლები, ვერცხლისა უფრო სპილენძის ფული, რომლებსაც სდებენ საკურთხევლის წინ ერთს ქვაზედ; უმართებულო საქციელი იმაში გამოიხატება, რომ ზოგიერთს ამ ეკკლესიის ნანგრევი ქვები მიაქვს და მით თავიანთ მიცვალებულებს მატურებს უგებენ. ჩვენ გავიგონეთ, რომ ვიღაცეებმა თავიანთ ბუხრების ასაშენებლადაც წაიღეს აქედამ ქვებიო; რამდენად მართალია, არ ვიცით; ვგონებთ-კი, ტყუილი უნდა იყოს. კარგი იქნებოდა, რომ აქაური მღვდლები (ს. ბედია ორსა თუ სამს მრევლს შეადგენს დღეს) ამ ნაეკკლესიარს მეტს ყურადღებას მიაქცევდნენ, მეტადრე ნახატებს, განსაკუთრებით თამარ დედოფლისას კიდევ რამდენსამე ხანს დაუცავდნენ ქართველ საზოგადოებას. მღვდლებს შემწეობას აღმოუჩენენ, უეჭველია, აქაური მემამულენი თავადნი შერვაშიძენი და ბ. კ. მახარია, რომელიც ცნობილია, როგორც მართალი, ქურდობის მტერი ვაჟკაცი მთელს სამურზაყანოში.

---

დასასრულ ერთი სამწუხარო ამბავიც უნდა მოგწეროთ დღევანდელის ჩვენის ცხოვრების შესახებ. ვაის გავეყარენით და ვუის შევეყარენითო, სწორედ ჩვენზედ ითქმის. ქურდობა ამ ხანად მაინცა და მაინც აღარ გვაწუხებს, მაგრამ რად გინდათ, რომ უარესი ვაგლახი გვჭირს, ჩვენს მხარეს საშინლად მოედო სხვა-და-სხვა ავადმყოფობა და მუსრს ავლებს ხალხს.

აბ.

---

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** კავენიაკმა პარლამენტს განსახილველად წარუდგინა კანონ-პროექტი,—ისეთი გარდასახადი იქმნას შემოღებული უძრავს ქონებაზედ, რომელიც დღითი დღე ჰმატულობდესო. გაზეთი „Temps“-ი ამბობს, რომ ეს პროექტი ხარჯისა და გარდასახადისაგან იხსნის თითქმის ერთს მილიონს წვრილს ხარჯის მძლეველებს და 35 მილიონ ფრანკის გარდახდას აკისრებს შეძლებულ კაცებსაო. რაც შეეხება შემოსავალზედ შემოსავლებს გარდასახდს, კავენიაკის აზრით, ასეთის გარდასახადის შემოღება სასურველია, მხოლოდ ეხლა უდროოა იმის გამო ლაპარაკი და ბაასი, რადგან დიდად ძნელია გამორკვევა, ვის რამდენი შემოსავალი აქვსო.

---

დიდად ეწინააღმდეგებიან ჟურნალ-გაზეთები იმ ახალს კანონ-პროექტს, რომ დასტამბული სიტყვა შეზღუდულ იქმნას და სასამართლოში საზოგადოებას დასწრება არ შეეძლოს, როდესაც ანარხისტთა საქმე ირჩევაო. ორისავე ამ კანონ-პროექტის წინააღმდეგია აგრეთვე პარლამენტის ის კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ამ პროექტის განხილვა.

---

**გერმანია.** კარგა ხნის კამათის შემდეგ პარლამენტმა გადასწყვიტა, რომ ოთხი მილიონი გადაიდოს გერმანიის განსვენებულ იმპერატორის ვილჰელმის ძეგლის ასაგებადაო; მთავრობა-კი, ამ საგნისათვის რვა მილიონსა თხოულობდა.

---

**ინგლისი.** სამკურნალო ჟურნალს „Lancet“-ში დაბეჭდილია: „რაც შეეხება იმ გავრცელებულს ხმას, რომ ვითომ გლადსტონი დიდად ავად იმყოფებაო, უნდა ვსთქვათ, რომ ამ შესანიშნავს კაცს წერა კარგად შეუძლიან, თუმცა-კი ამ ბოლოს დროს თვალის სინათლე ცოტა არ იყოს დააკლდა. ბიარიცში წასვლამდე ექიმმა თვალები გაუსინჯა და აღმოჩნდა, რომ არავითარი ოპერაცია არ იყო საჭირო. ამ თვე ნახევრის წინად კიდევ იგი გასინჯა თავისმა ექიმმა და დარწმუნდა, რომ თავისის წლოვანების შესაფერად იგი საკვირველად ჯან-საღი და ჯან-მაგარია, გული ძლიერად უცემს, საუცხოო მადა აქვს, ფილტვებში ზიანი არა უჩანს-რა, კუნთები გამაგრებია და ხმა-მაღლა ლაპარაკი შეუძლიან. ამას გარდა, თვით გლადსტონს გამოუცხადებია თავისის ექიმისათვის, რომ ძილი ძალიან მშვიდობიანი მაქვსო“. ამავე დროს გაზეთებში იბეჭდება ათასის მხრიდგან მისული წერილები, რომ პატივი ვცეთ გლადსტონს, მადლობა გამოუცხადოთ ერის სახელითაო. „Westminster Gazette“ ამბობს, რომ ხელ-მოწერით ფული შევკრიბოთ და საერო საპატიო საჩუქარი რამ ვუყიდოთ ამ დიდებულს მოხუცსაო. საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ დაბეჯითებულმა კონსერვატორმა ლორდ ბიუსმა წერილი გაუგზავნა სამხრეთ-ვალისის უნივესტიტეტის რექტორს, რომელშიაცა სწერს, რომ კარგი იქნება გლადსტონს თქვენის უნივერსიტეტის კანცლერის დიპლომი მივართვათო. „მე კონსერვატორი ვარო, სწერს ლორდი ბიუსი, მაგრამ ეს გარემოება მაინც ხელს არ უშლის იმ ჩემს რწმუნებას, რომ უნივერსიტეტი სწორედ დიდს პატივს დაიმსახურებს, თუ თავის კანცლერად ამოირჩია ასეთი წარჩინებული კაცი, რომლისთანა მცოდნე და მეცნიერიც ძნელად თუ ვინმე იყოს“. ამ წინადადებამ ლორდის ბიუსისამ, რომელიც საპოლიტიკო ასპარეზზედ ყოველთვის წინააღმდეგი იყო გლადსტონისა, ინგლისში დიდი ლაპარაკი გამოიწვია.

---

**ოსმალეთი.** რუსეთის გაზეთებსა სწერენ, რომ თებერვლის დამლევს აქ მოვიდა ინგლისის ახალი ელჩი სერ ფილიპე კიორრი, სერ ფორდის მაგიერად დანიშნული, იმ ფორდისა, რომელმაც ჯეროვანად ვერ გაამართლა ინგლისის მთავრობის იმედი და იძულებული იყო ორის თვის სამსახურის შემდეგ თავი დაენებებინა ამ თანამდებობისათვის. ახალმა ელჩმა ეხლავე აალაპარაკა სადიპლომატიო წრეები. სტამბოლში მოსვლისათანავე კიორრი სულთანთან უნდა ყოფილიყო დარბაზად, მაგრამ მისი სულთანისას მისვლის დღე გადადებულ იქმნა. მეორედ დაინიშნა ეს დღე და ამ ხელადაც გადსდო სულთანმა რაღაცა მიზეზის გამო. ამის გამო კიორრიმ აღარ დაუცადა დარბაზად მისვლას სულთანთან და უკვე დაკანონებულ ჩვეულების გარეშე გამოაცხადა, რომ ინგლისის ახალმოშენეთა წარმომადგენელთ შეუძლიანთ მოსვლა ჩემს სანახავადაო. ინგლისის ახალ-მოშენეთა წარმომადგენელნი უკვე იყვნენ თავისს ახალ ელჩთან. ჯერ არავინ იცის, სულთანი როგორ შეჰხედავს ამ საქციელს ინგლისის ელჩისას, რომელმაც სულთანის უნახავად დაიწყო თავისის თანამდებობის აღსრულება, მხოლოდ ეს-კი ნამდვილად ვიცით, რომ ინგლისის ელჩს დღესაც ჯერ ნანახი არა ჰყავს სულთანი, თუმცა უკვე სამი კვირაა, რაც აქ იმყოფება.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

(პასუხად ბ-ნს ლ. წულაძეს)

წავიკითხე რა გაზ. „Нов. Об.“-ში მცირე შენიშვნა შესახებ გურიის სახალხო სამკითხველოს დაბა ჩოხატაურში გადმოტანისა, ვიფიქრე რომ ამ სამართლიან შენიშვნას მოწინააღმდეგე არავინ გამოუჩნდება-მეთქი, მაგრამ ფიქრი არ გაგვიმართლდა. აი რასა სწერს „ივერიის“ 45 №-ში ბ-ნი ლ. წულაძე: სამკითხველო საჭიროა იმისთანა სოფლისთვის სადაც ჟურნალ-გაზეთობა არ მიდის უფოსტობისგამოვო. ამისთანა სოფელი არის აკეთიო. ძალიან კარგი, მაგრამ როგორ დავუჯეროთ ბ-ნ წულაძეს, რომ გურიაში ამაზედ უმფრო ფოსტაზედ დაშორებული სოფელი არ იყოს გურიაში, იმისთანა სოფლებიც მოიპოვება, სადაც არც-კი იციან საქართველოში ქართული გაზეთი არსებობს თუ არა; მაშასადამე, აკეთზე უფრო გაჭირვებული სოფელი ბევრი ყოფილა და იქ უნდა დაარსებულიყო სამკითხველო.

მართალია, აკეთლებს თავი მოაქვთ სამკითხველოს დაარსებით, მაგრამ ნუ დაივიწყებენ, რომ არა ნაკლები შრომა მიუძღვით მაგ საქმეში სხვებსაც, როგორც მაგალითად ბ-ნ ი. რამიშვილს და სხ. როგორც გვახსოვს, ფული გროვდებოდა იმ აზრით, რომ სამკითხველო დაარსებულიყო გურიის შუა-გულ ალაგას, რათა მეტს ხალხს შესძლებოდა სარგებლობა, ესე იგი, ნაგომარზე; ხოლო თუ ნაგომარს ასცდებოდა, არ უნდა ასცდენოდა დ. ჩოხატაურს, რადგანაც ჩოხატაურზედ თითქმის ნახევარ მაზრას მიუწვდება ხელი: იქ ხშირად უხდებათ სიარული ვის—სასამართლოში (დანოს ჩივილში ხომ ვერავინ გვჯობნის), ვის აფთიაქში, ვის ფოსტაში და სხვ. აი ამოდენა ხალხი დასტოვეს უყურადღებოდ და სამკითხველო დააარსეს იმისთანა ალაგას, სადაც მარტო აკეთლებს შეუძლიანთ უგზოობის გამო გამოიყენონ ის სამკითხველო.

ბოლოს ბ-ნი წულაძე დარიგებას აძლევს ჩოხატაურლებს, გამოიღონ თითო-ოროლი მანეთი და დაიარსონ საკუთარი სამკითხველო. უფრო-კი კარგს იზამდა, რომ ეს დარიგება აკეთლებისათვის მიეცა, იმათ გამოეღოთ თითო ოროლა მანეთი დაეარსებინათ პატარა სამკითხველო, რომელიც პატარა აკეთისთვის საკმარისი იქნებოდა, ხოლო ეს ვრცელი სამკითხიველო დაეთმოთ შუაგულ ადგილისათვის. ვიმეორებთ, როცა ფული გროვდებოდა, არავინ იცოდა სამკითხველო სად იქნებოდა გამართული. ვისაც ჰკითხავდი, ნაგომარზეო, იყო პასუხი. ბ-ნმა კ. თავართქილაძემ წერილიც დაბეჭდა „ივერიაში“ სწერდა: თუმცა გურიის სახალხო სამკითხველო აშორდება ნაგომარს და ან ჩოხატაურს, მაშინ საჭიროა დაარსდეს ხიდისთავშიო (ბასილეთი), რომელიც ჰპირდებოდა ხუთის თუმნის წიგნებს და ყოველ წლობით თითო თუმანს.

ორიოდე სიტყვა ბასილეთის შესახებ. ბ-ნი წულაძე ჩოხატაურელებს არცხვენს სამკითხველო არა გაქვთო და მაგალითად უჩვენებს ლანჩხუთსა და ასკანას, რომელთაც დააარსეს სასაკუთარი სამკითხველო. ჩოხატაურელებისა-კი რა მოგახსენოთ და ხიდისთავის (ბასილეთი) შეგნებულ კაცთ დიდ ცოდვად უნდა ჩაეთვალოთ სამკითხველოს უქონლობა.

სოფელ ხიდისთავში (ბასილეთში) ათას კომლამდე მცხოვრებია. აქედამ სამოცი თუ ცოტა მეტი აზნაურნი და სასულიერო წოდებისანი იქნებიან. აქვთ ორ-კლასიანი სასწავლებელი, ორიც სამრევლო სკოლა: ქვენოუბნისა და ხიდისთავისა. პირველში მოსწავლეთა რიცხვი 180 ყმაწვილია; მეორესა და მესამეში—120-მდეა. კიდევ რომ იყოს სასწავლებელი, მსურველი ბევრი აღმოჩნდება. ამ ორკლასიან სასწავლებელს რომ ასრულებენ, იძულებულნი არიან სიღარიბის გამო დარჩნენ სახლში და იქნება ასში ორმა ძლივს განაგრძოს სწავლა. ვინც სახლში რჩება, იმათ ავიწყდებათ, რაც უსწავლიათ უწიგნობის გამო. ამისთანა დიდს სოფელში, სადაც ას მედუქნემდეა, მათ შორის ბევრნი მეორე გილდის ვაჭარნი არიან, დღემდე არავინ ჰზრუნავს სამკითხველოსთვის.

ვისურვოთ, რომ ამოდენა სოფელში გამოჩენილიყვნენ ისეთნი, რომელთაც ეკისროთ ეს ფრიად კეთილი საქმე. თუ-კი ითავებს ვინმე სამკითხველოს დაარსებას, თანამგრძნობელი ბევრი გამოჩნდება, მე ჩემის მხრით და ბ-ნი მათითეიშვილი შევწირავთ 60 მანეთის წიგნებს და შემდეგშიაც შეძლების და გვარად მივსცემთ შემწეობას. იმედი გვაქვს ამ კეთილ საქმეს არ დასტოვებენ უყურადღებოდ ბ-ნი სიო გიორგის ძე ზერიძე და ბ-ნი კ. თავართქილაძე, როგორც ამავე სოფლის მკვიდრნი.

იაგორ გოგიბერიძე.

რკინ. გზ. სადგ. განჯა.

---

# დეპეშა

8 მარტი

**პეტერბურგი.** რუს-გერმანელთა სავაჭრო ხელ-შეკრულობა უმაღლესად იქმნა დამტკიცებული 5 მარტს და ძალაში შევა 8 მარტიდამ.

განზრახვა აქვთ შემოიღონ სადიფერენციალო ტარიფი მგზავრთათვის და 60% დაუკლონ ფასი ბილეთისა შორის გზისათვის, ესე იგი, 160 ვერსზე მეტი მანძილი თუ აქვს გასავლელი მგზავრს.

გზათა სამინისტრო შეუდგა შეღავათიანის წესის შემოღებას გზატკეცილთა გარდასახადის გასტუმრებისათვის.

**ბერლინი.** რა-კი სავაჭრო ხელ-შეკრულობის ჩაშლა ვერ მოახერხეს აგრარიებმა, ახლა ომს უცხადებენ, ან სასიკვდილოსა და ან სასიცოცხლოს, სრულიად საეკონომიო პოლიტიკას, ოქროს ვალიუტას და სხ. მხოლოდ სრულს შეცვლას სისტემისასაო, ამბობენ ისინი, შეუძლიან უშველოს მეურნეობასაო.

**პარიზი.** სენატმა გადასწყვიტა დაწესება ახალ-შენების სამინისტროსი.

### წერილი რედაქციის მიმართ

—

ბატონო რედაქტორო, ნება გვიბოძეთ თქვენი პატივ-ცემული გაზეთ „ივერიის“ საშუალებით მივმართოთ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ჩვენ განჯის რკინის გზის სადგურის ქართველობამ და ვსთხოვოთ ბ-ნს ი. გოგებაშვილს, თანხმად მის მიერ განცხადებულ სურვილისა, სასარგებლოდ ახლად დაარსებულ განჯის სადგურის ბიბლიოთეკის წიგნებით შემწეობა.

განჯის რკინ. გ. ქართველობა
(იაგორ გოგიბერიძე)

### პეტერბურგის ბირჟა, 8 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | $7^{1}/_{2}$ | 7,53 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები. | 150 | $150^{3}/_{4}$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 243 | — „ | — „ |
| —მეორისა | 221 | — „ | — „ |
| 4% მესამე სესხისა. | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | 192 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | $100^{3}/_{8}$ | — „ | — „ |
| 5% | — „ | — „ | $98^{1}/_{4}$ |
| ქუთაისის ბანკის 6%. | $100^{3}/_{8}$ | — „ | — „ |
| 5%. | — „ | — „ | $98^{1}/_{4}$ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $98^{1}/_{4}$ | — „ | — „ |


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ.** იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ.** სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ.** სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი,—$11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$** საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** $12^{1}/_{2}$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^{1}/_{2}$** საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო, 6—7 საათ.** სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^{1}/_{2}$** საათამდის.

**ე. ი. ფრანციუსი, 7—$7^{1}/_{2}$** საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.


# ბ ა ლ ა ნ ს ი

ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა 1 იანვრისათვის 1894 წლისა.

**ა ქ ტ ი ვ ი**

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| კასსა: ნაღდი ფული | 40,874 | 51 | | |
| კასსა: გირაოს ფურცლები. | 70,000 | „ | 110,874 | 51 |
| ფული მიმდინარე ანგარიშებზე: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში | 5,268 | 57 | | |
| ბ) ტფილისის სავაჭრო ბანკში. | 342 | 44 | | |
| გ) ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში | 58,863 | 05 | | |
| დ) კორრესპონდენტებთან | 242,968 | 20 | 307,442 | 26 |
| საწევრო ფული ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში. | — — | — | 30 | „ |
| სახელმწიფო სარგებლიანი ქაღალდები, შენახულნი სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში: | | | | |
| ა) უზრუნველ-საყოფლად: გირაოს ფურცლების გამოცემისა (წესდებისა § 50) . . (220,000) | 203,682 | 57 | | |
| ბ) ტირაჟში გამოსულთა გირაოს ფურცელთა ~~და~~ კუპონთა (50,000) | 46,763 | 80 | | |
| გ) სათადარიგო თანხის სასაკუთრონი . . . . (76,000) | 72,471 | 62 | 322,917 | 99 |
| სხვა სარგებლიანი ქაღალდები ბანკის კასაში: | | | | |
| ა) ქუთაისის ბანკ. სასაკუთრონი (97,400) | 94,421 | 86 | | |
| ბ) სათადარიგო თანხაში ჩარიცხული (4,500) | 4,429 | 60 | 98,851 | 46 |
| სახელმწიფო სარგებლიანის ქაღალდების სარგებელი 1 იანვრამდე 1894 წლისა | — — | — | 1,682 | 72 |
| სესხი გასაცემად დანიშნულნი. | — — | — | 70,700 | „ |
| სესხნი: ა) სოფლის ადგილ-მამულებზე | 1,529,397 | 96 | | |
| ბ) ქალაქის მამულებზე | 1,397,547 | 26 | | „ |
| | 125,654 | 78 | 3,052,600 | „ |
| გაბათილება სესხთა ნაღდის ფულით | | | | |
| გ) მოკლე ვადიანი სესხნი | — — | — | 149,826 | „ |
| მსესხებელნი: ა) შელავათ. გარ. — დიდ ვად. სესხ. | 148,101 | 41 | | |
| მსესხებელნი: ა) შელავათ. გარ. — მოკ. ვად. სესხ. | 6,930 | 65 | | |
| ბ) ვადა გასესხ. — დიდ ვად. სესხ. | 91,203 | 83 | | |
| ბ) ვადა გასესხ. — მცირე ვად. სესხ. | 4,380 | 07 | | |
| გ) ჯარიმა | 7,731 | 05 | 258,347 | 01 |
| ვადამდე დახურდავებული კუპონები. | — — | — | 4,129 | „ |
| გირაოს ფურცელნი, მოსასპობლად შემოსულნი | — — | — | 1,212 | 19 |
| სხვა-და-სხვა დებიტორები. | — — | — | 91,543 | 13 |
| დასაბრუნებელი ხარჯები | — — | — | 1,539 | 64 |
| ხარჯები: ა) ბანკის მოწყობა-მორთულობაზედ | 105 | „ | | |
| ბ) მართვა-გამგეობისა | 2,047 | 23 | 2,152 | 23 |
| გ) არა-ჩვეულობრივი | — — | — | 3,759 | „ |
| კომისსია კუპონებისა და გირავნოების ფურცელ. განაღდებისა . . (59,200) | — — | — | 53,280 | „ |
| ბ ა ლ ა ნ ს ი. | — — | — | 4,530,887 | 14 |

**პ ა ს ი ვ ი**

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| ძირეული თავნი. | 572,209 | 24 | | |
| სათადარიგო თანხა | 76,926 | 13 | 649,135 | 37 |
| გირავნობ. ფურც. გამოსაცემი: $48^{8}/_{12}$ წ. | 47,000 | „ | | |
| $19^{11}/_{12}$ წ. | 23,700 | „ | 70,700 | „ |
| გირ. ფურცელნი; მსვ. მყოფნი: $48^{8}/_{12}$ წ. | 392,700 | „ | | |
| $43^{1}/_{2}$ წ. | 1 149,000 | „ | | |
| $18^{7}/_{12}$ წ. | 1 010,600 | „ | | |
| $19^{11}/_{12}$ წ. | 500,300 | „ | 3 052,600 | „ |
| თანხა სესხ. მოსასპობ.: $48^{8}/_{12}$ წ. | 1,323 | 32 | | |
| $43^{1}/_{2}$ წ. | 6,275 | 98 | | |
| $18^{7}/_{12}$ წ. | 46,111 | 42 | | |
| $19^{11}/_{12}$ წ. | 9,455 | 75 | 63,166 | 47 |
| თანხა სარგებლისა: 6%-იანისა. | 64,788 | „ | | |
| 5%-იან სესხი. | 22,325 | „ | 87,113 | „ |
| მომავალი გადასახადი | — — | — | 15 | 98 |
| ფული, გადადებული საზღვევლად: | | | | |
| ა) გირაოს ფურცელთა ტირაჟში, გამოსულთა. | 318,800 | „ | | |
| ბ) გირაოს ფურც. კუპონებით. | 93,553 | 50 | 412,353 | 50 |
| ვადამდე მოსპობილნი სესხნი: | | | | |
| ნაღდის ფულით: $43^{1}/_{2}$ წ. | 4,716 | 24 | | |
| $18^{7}/_{12}$ წ. | 57,837 | 88 | 62,554 | 12 |
| სარგებელი მოკლე ვადიანთა სესხთა | 7,506 | 68 | | |
| ყოველ წლიური შემოსატანი ფული ბანკის ხარჯების დასაფარავად, საზოგადო საჭიროებათა თანხის შესადგენად და სხვა. | 19,157 | 50 | 26,664 | 18 |
| გადამავალი ჯამი | — — | — | 4,959 | 48 |
| სარგებლიანი ქაღალდები: | | | | |
| ა) შესანახავად | 18,600 | „ | | |
| ბ) ბანკის სასაკუთრონი და სხვ. | 51,400 | „ | 70,000 | „ |
| სხვა-და-სხვა კრედიტორები | — — | — | 3,324 | 31 |
| ცეცხლისაგან ზარალის საზღვევი გადასახადი | — — | — | 212 | 97 |
| გამოსაცვლელი კუპონების ფურცლები. | — — | — | 3,759 | „ |
| გერბის გადასახადი | — — | — | 451 | 40 |
| 5% გადასახადი კუპონებისაგან | — — | — | 225 | 22 |
| მოგება 1893 წ. | — — | — | 23,652 | 14 |
| ბ ა ლ ა ნ ს ი. | — — | — | 4 530,887 | 14 |

Доз. ценз. Тифлисъ, 9-го Марта 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე